

ხალხური სიმღერების მრავალხმიანი შესრულება და მელოდიების სისტემატიზაცია

საკითხები, რომელთაც ამ სიმპოზიუმზე განვიხილავთ, საკმაოდ სპეციფიკურია. მრავალხმიანობა ყველა ეროვნული კულტურისათვის როდია დამახასიათებელი. თუმცა, ყოველ ხალხურ-მუსიკალურ კულტურაში არსებობს სტაბილური ჰანგები. მუსიკალური კულტურა სწორედ ასეთი ჰანგებისაგან იქმნება. ისინი ხალხური მუსიკის არსს ისევე წარმოადგენენ, როგორც სიტყვები – ენის საფუძველს.

ჰუმანიტარული მეცნიერების თითოეულ დარგს თავისი საფუძველი, თავისი წყაროები აქვს. ამ წყაროების ინდექსაცია მნიშვნელოვან როლს თამაშობს ჰუმანიტარული მეცნიერებების განვითარებაში. თითოეულ ამ დისციპლინათაგანს შეესაბამება ინდექსის (მაჩვენებლის) მისეული ტიპი. ფოლკლორისტიები უმეტესად მიმართავენ ვარიანტების (სიმღერების სხვადასხვა ვერსიების) ინდექსაციას. ეს უკავშირდება შესასწავლ მასალას – ხალხურ მელოდიებს, რომელთაგან თითოეული ჩანერილი იქნა სხვადასხვა დროს, სხვადასხვა ადგილზე და სხვადასხვა ადამიანის მიერ. ამგვარი მაჩვენებლები ეთნომუსიკისმცოდნეობაში გამოიყენება მელოდიების საკვლევად მათი საკუთარი მახასიათებლებისა და არა სასიმღერო ტექსტების მიხედვით.

მელოდიების ინდექსაცია და სისტემატიზაცია აუცილებელია როგორც უნისონურ-მელოდიური, ისე მრავალხმიანი მუსიკალური ტრადიციისათვის. ზოგ შემთხვევაში გვინევს ერთი მომღერლის მიერ შესრულებული მრავალხმიანი სიმღერის ჩანერა (ვინაიდან ეს სიმღერა მის გარდა ყველას უკვე დაავიწყდა). ასეთ შემთხვევაში ძნელია რაიმეს თქმა მელოდიური ხაზის სურათზე. შესაძლოა, იგი აქ იქმნებოდეს მრავალხმიანი პარტიტურის სხვადასხვა პარტიის მელოდიური ბრუნვის შედეგად, ვინაიდან შემსრულებელს სურს განზოგადებული შთაბეჭდილება შექმნას სიმღერის მრავალხმიანი შესრულების ჟღერადობაზე. სხვა შემთხვევაში მომღერალი შესაძლოა ასრულებდეს მხოლოდ თავის პარტიას. ზოგიერთი მომენტი განისაზღვრება მრავალხმიანი ფაქტურის ტიპით. თუ ხალხური მრავალხმიანი სიმღერის “ზეპირი პარტიტურის” აგებულება უახლოვდება ჰეტეროფონიას, მაშინ ზემოაღნიშნული ცვლილებებისათვის უფრო მეტი შესაძლებლობა არსებობს. ეს ცვლილებები მცირდება როდესაც ვოკალური პარტიები მკაცრად დიფერენცირებულია.

წარსულში ვარიანტების მაჩვენებლები ევროპის ზოგიერთ ქვეყანაში მუშავდებოდა წიგნის ან კარტოთეკის სახით და განკუთვნილი იყო ერთხმიანი მელოდიებისათვის. მრავალხმიანი კულტურებისათვის საჭიროა მელოდიების ისეთი მაჩვენებელი, რომელიც საშუალებას მოგვცემს დავალაგოთ ერთხმიანი და მრავალხმიანი სიმღერების სანოტო ჩანანერები ერთსა და იმავე საუძველზე. მე შევიმუშავე ასეთი მაჩვენებელი რუსული ხალხური მუსიკისათვის და შემდგომში ვისაუბრებ მის მთავარ პრინციპზე.

1. ჩემი ინდექსაციის თანახმად მელოდიები სისტემატიზებულია კომპოზიციური ფუნქციით იდენტურ ნაწილებად. რუსულ ტრადიციულ სიმღერაში ასეთი ნაწილები სხვადასხვა კომპოზიციური ფორმების სასიმღერო სტროფების შემადგენელია. ასეთია, მაგალითად, გაბმული სიმღერა, რომელიც, შესაძლოა, იწყებოდეს სრული სანყისი ნახევარსტროფით AB; მას მოყვება დამამთავრე-

ბელი ნახევარსტროფი CD, შესაძლოა, მცირე პრელუდით (ერთი ან ორი სიტყვა და მათი შესატყვისი მელოდიის მოკლე ნაწყვეტი – f), ხოლო შემდგომ დამატავრებელი ნახევარსტროფი CD სრულად.

ა) სანყისი ნახევარსტროფი ბ) პრელუდია	დამამთავრებელი ნახევარსტროფი
ა) A B	C D
ბ) – f	C D

ხალხური ჰანგების ჩემეულ ინდექსში გთავაზობთ ყველა სიმღერის ჩანან-ერის სისტემატიზაციას სრული მელოდიური ხაზით, რომელიც საერთოა ყველა ფორმისათვის. რუსულ ფოლკლორში ეს მოვლენა დაკავშირებულია გაბმულ სიმღერას და სასიმღერო ჟანრებს, რომლებმაც მისი გავლენა განიცადეს (Lobanov, 1985). მსგავსი ვარიაციული პროცესი მიმდინარეობს ქართულ მრავალხმიან სიმღერებშიც. ცხადია, ასეთი ცვალებადი კომპოზიციური სეგმენტები ახასიათებს ქართულ მრავალხმიან სიმღერებს; იგულისხმება როგორც სხვადასხვა პირობებში და შემსრულებელთა სხვადასხვა შემადგენლობის (ერთი ან მეტი) მიერ შესრულებული, ისე სტაბილურ გარემოში ჩანერილი სიმღერები. ფინური, გერმანული, უნგრული სიმღერების მელოდიურ მაჩვენებლებში არ გამოიყენება სასიმღერო სტროფის მელოდიური ხაზის იდენტური კომპოზიციური მაჩვენებელი.

2. ნოტირებულ ნიმუშებში, მელოდიური დასაწყისი და დასასრული რიტმულად საკმაოდ თავისუფალია. ამის გამო მსგავსი სიმღერები შესაძლოა ვარიანტების სხვადასხვა ჯგუფებში მოხვდნენ. აქედან გამომდინარე, არანაკლებ მნიშვნელოვანი მეორე მხარე – მელოდიების სისტემატიზაცია ღერძის მიხედვით (რ. ო. იაკობსონის ტერმინი) ანუ სასიმღერო სტროფის შუა ნაწილში – ანაკრუზის დასასრულიდან (თუ ასეთი არსებობს პოეტურ ზომაში) კლაუზულის დასაწყისამდე. ეს მნიშვნელოვანია რუსული ხალხური სიმღერისთვის, ვინაიდან მასში თავმოყრილია მრავალი პოეტური ზომა სადაც პირველი აქცენტი კეთდება ლექსის დასაწყისიდან მესამე მარცვალზე. ქართული ხალხური სიმღერის შაირის ლექსი და სასიმღერო სტროფის ზემოხსენებული ნაწილები აქ ნაკლებად არის გამოხატული.

3. სასიმღერო სტროფის (მელოდიური ხაზის) ცენტრალური ნაწილი შესაძლოა გაიყოს რითმული მახვილების მარტივ ჯგუფებად: 222, 232, 322, 332, 2222 და ა.შ. ახლა ჩვენ შეგვიძლია ყველა ჰანგი დავალაგოთ ამ რიცხობრივი მაჩვენებლის ზრდის შესაბამისად. ცხადია, ამ ოპერაციისაკენ მიმავალი გზა გაცილებით რთულია. მაგრამ მე მხოლოდ გაცნობთ მელოდიების მაჩვენებლის ჩემეული ანალიტიკური სისტემის მთავარ იდეას.

4. ორიანი ან სამიანი წარმოადგენს მუსიკალური დროის მონაკვეთის არსს, რომლებიც რეალურად სხვადასხვა ხანგრძლივობით ხორციელდება – მეოთხედიდან ბრევისამდე. ამ მონაკვეთებს შორის საზღვარზე არსებული რიტმული პუნქტები გამოიყენება ბგერებისა და მელოდიური კონტურის ინდექსაციისათვის.

5. გთავაზობთ ბგერათა სიმაღლის ინდექსაციის ორ ხერხს. პირველი: მე მას განვიხილავ როგორც ფუნქციონალურობის პარამეტრს. ბგერა (ან ბგერები, თუ სიმღერა მრავალხმიანია), რომლებიც ამ პუნქტებზე მოდის, გამოხატულია ციფრობრივი მონაცემებით. ვავითარებ რა ნ. მ. ლოპატინის იდეას იმის

თაობაზე, რომ ყველა სხვა თანაბარ პირობებში ტერციის მელოდიურ ხაზებს შორის განსხვავება არ არღვევს მელოდიების ვარიანტულ ნათესაობას (Lopatin, 1956; Prokunin, 1956:45), და მ.გ.ხარლაპის იდეას რომ რუსული სიმღერების ბგერათნყობა არის ორ მწკრივად დალაგებული ტერციები (Kharlap, 1972:256), მე ამ წერტილების ბგერებს აღვნიშნავ ციფრით “1” (პირველი მწკრივის ბგერებისათვის) და ციფრით “0” (მეორე მწკრივის ბგერებისათვის). ასეთი ინდექსაცია საშუალებას გვაძლევს გავათანაბროთ ბგერები, რომელთა ცვლილებებიც გვაძლევს ვარიაციებს. ამას მნიშვნელობა აქვს რუსული ხალხური მრავალხმიანობის გუნდური ფაქტურის ყველა ტიპისათვის, გარდა ბურდონული სტილისა. მისი გამოყენება შესაძლებელია ქართული ხალხური მრავალხმიანი სიმღერების წამყვანი ვოკალური ხაზისთვისაც. ვფიქრობ, ხერხი, რომელიც საშუალებას გვაძლევს ერთ სანოტო მაჩვენებელში განვალაგოთ როგორც ერთხმიანი, ისე მრავალხმიანი სიმღერები, ან უფრო ზუსტად, ერთი და იგივე ჰანგები როგორც ერთხმიანი ისე მრავალხმიანი შესრულებით, უპირველს ყოვლისა დამოკიდებულია ფუნქციონალურ მაჩვენებელზე.

6. მეორე: კონკრეტული ბგერების (მაგალითად, უნისონებისათვის კადანსებში და სხვ.) აღნიშვნისათვის გთავაზობთ ჩვეულებრივი ათწილადი ციფრების გამოყენებას. კადანსური ტონები აღნიშნება ციფრებით ერთიდან ათამდე. კილოს საფეხურების ნუმერაციისათვის არ ვიყენებ ო. კოლერის მიერ შემოთავაზებულ საყოველთაოდ მიღებულ აღნიშვნას – რომაული ციფრები ტონიკის საყრდენი ტონის ქვემოთ და არაბული ციფრები – ტონიკის ზემოთ. მე გთავაზობთ ინდექსაციის გაცილებით უფრო მოსახერხებელ მეთოდს: ქვედა ტონიკა “მი” ჩემთან აღნიშნულია ციფრით 11, და მის ზემოთ და ქვემოთ ბგერათნყობის საფეხური აღნიშნულია ერთიანი ციფრული თანმიმდევრობით. ბგერათნყობის პირველი ციფრები ქმნიან თავისებურ რეზერვს – ასეთი დაბალი ბგერები არ გვხვდება ჩემს მიერ შესწავლილ რუსულ ხალხურ ჰანგებში.

და ბოლოს, მინდა აღვნიშნო, რომ ზოგიერთი ვარიანტის ეფექტურობა დამოკიდებულია ანალიტიკური მაჩვენებლების აგებულებაზე. **ანალიტიკურ მაჩვენებლებს, რომლებიც მიუთითებენ როგორც თავის თავზე, ისე საკუთარ ადგილზე ჰანგის სტრუქტურაში, გააჩნიათ მოდელირების ფუნქცია; სწორედ ასეთი მაჩვენებლები არის ყველაზე მეტად ეფექტური სასიმღერო მელოდიების კატალოგისათვის.**

ჩემი ქართველი კოლეგები მუშაობენ მონაცემთა ბაზაზე, რომელსაც სამეცნიერო მნიშვნელობა აქვს. ვფიქრობ, ასეთი პროექტი ვერ შეასრულებს თავის ფუნქციას, თუ მისით მოსარგებლე პირს არ ექნება ვარიანტების მიხედვით მელოდიის მოძებნის საშუალება.

numbers of the scale form a kind of reserve – I have not come across such low sounds in Russian tunes in my studies

And finally, I would like to say that the effectiveness of variant determination depends upon the structure of analytical indexes. **Analytical indexes, indicating themselves as well as their position in the structure of a tune, have modeling function, namely, these indexes are more effective for catalogues of song tunes.**

Georgian colleagues are working on the information database of scientific value. I believe that such project will not be successful without giving possibility to those who will be using their database to search melodies according to the specific versions of the songs.

References

- Kharlap M.G. (1972). Russian Folk Musical System and the Problem of the Origin of Music in *Early Forms of Art*. Compiled by. S. Y. Nekludov. Moscow.
- Lobanov M.A. (1985). Secrets of Strophic Variation. *Sovetskaya Muzika*.
- Lopatin N.M., Prokunin B.P. (1956). *Russian Lyrical Folk Songs*. Moscow.